

## მიერთების მსურველთა საყურადღებოდ

- ❖ განაცხადი უნდა შეივსოს კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით (წერილობით ან ელექტრონულად).
- ❖ განაწილების ლიცენზიატმა 5 სამუშაო დღის ვადაში უნდა დაადგინოს განაცხადის სრულყოფილება და დაუყოვნებლივ აცნობოს განმცხადებელს პასუხი. განაცხადში ხარვეზის დადგენის შემთხვევაში იგი დარჩება განუხილველი, ხოლო მიერთების მსურველს (განმცხადებელს) უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური 10 სამუშაო დღის ვადაში. მიერთების მსურველს (განმცხადებელს) უფლება აქვს, წერილობით მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნების გადავადება (შეჩერება) ახალი განაცხადის წარდგენის პირობით. მოთხოვნილი მიერთება განხორციელდება მხოლოდ ახალი განაცხადის წარდგენის შემთხვევაში.
- ❖ მიერთების მსურველი (განმცხადებელი) ვალდებულია, განაცხადის წარდგენამდე გადაიხადოს განაცხადში ასახული გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის 50%, ხოლო დარჩენილი თანხა (თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდნენ სხვა პირობებზე) საყოფაცხოვრებო მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს 20 დღის განმავლობაში ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების თარიღიდან, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელმა კი – 10 დღის განმავლობაში ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების თარიღიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარჩენილი თანხა აისახება როგორც ელექტროენერგიის მიმდინარე დავალიანება.
- ❖ გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოები შეიძლება შესრულდეს მხოლოდ განაწილების ლიცენზიატის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიამდე მიერთებასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოსა და ხარჯს (სრულ ტექნოლოგიურ ციკლს), მათ შორის, მიერთების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს, მათ შესრულებასთან დაკავშირებული თანხმობის, ან ნებართვის მოპოვებას და ყველა სახის საჭირო მოქმედებას და სამუშაოს (აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების ჩათვლით), რაც დაკავშირებულია ახალი მომხმარებლის მიერთებასა და ელექტრომომარაგებასთან.
- ❖ გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთებას არ წარმოადგენს შემდეგი შემთხვევები: მომხმარებლის სამართლებრივი ფორმის, ან მისი უძრავი ქონების, ან ამ ქონების ნაწილზე მფლობელის შეცვლა (გარდა გამოყოფილი ქონების მესაკუთრის მიერ აბონენტად რეგისტრაციის მოთხოვნისა), საცხოვრებელი ბინის, საწარმოს ან სხვა ობიექტის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, რომელზეც გაცემულია ტექნიკური პირობა, არის (ან იყო) მიერთებული გამანაწილებელ ქსელთან და ხდება (ან ხდებოდა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მისი ელექტროენერგიით მომარაგება.
- ❖ დაუშვებელია მიერთების მსურველის (განმცხადებლის) მიერ მიერთებისათვის საჭირო საშუალებების შექმნა ან/და გამანაწილებელ ქსელზე მოთხოვნილი მიერთების სამუშაოების წარმოება, მასთან დაკავშირებული საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების, ან რაიმე სახის თანხმობის, ან ნებართვის მიღებაში მონაწილეობა. მიერთების მსურველი (განმცხადებელი) ასევე არ არის ვალდებული, წარმოადგინოს რაიმე სახის დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია (განაცხადში მოცემული ინფორმაციის გარდა) და დაესწროს ელექტროენერგიით მომარაგების დაწყებას. მიერთების პროცესში განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, მიერთების მსურველთან (განმცხადებელთან) ურთიერთობა აწარმოოს მხოლოდ ერთი უფლებამოსილი პირის მეშვეობით, რომელიც მიერთების მსურველის (განმცხადებლის) მოთხოვნის შემთხვევაში მიაწვდის მას სრულ ინფორმაციას მიერთების განხორციელების მსვლელობაზე. განმცხადებელს უნდა ეცნობოს განაწილების ლიცენზიატის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია განაცხადის მიღების დადასტურებისას, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ისე განაცხადში მითითებული საშუალებით (წერილობით ან ელექტრონულად).
- ❖ მიერთების მსურველს (ახალი მომხმარებელს) უფლება აქვს, აირჩიოს (განაცხადით მოითხოვოს) აღრიცხვის კვანძის ძაბვის საფეხური, რომელზეც უნდა მოეწყოს აღრიცხვის კვანძი, და მისაერთებელი სიმძლავრე, შეთავაზებული პაკეტის მიხედვით.
- ❖ ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების მოთხოვნილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური შემცირდება 50 %-ით. განაცხადის რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევაში, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ მიერთების მსურველის (განმცხადებლის) მოთხოვნის საფუძველზე, მიერთების საფასური შეიძლება შეამციროს 50%-ით. შესაბამისად, თუ ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური პირს უკვე გადახდილი აქვს, ზედმეტად გადახდილი თანხა განაწილების ლიცენზიატმა უნდა დაუბრუნოს განმცხადებელს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.